საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2011 წლის 14 აპრილის

დადგენილება № 425

სტუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და

დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემუშავდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 21 მარტის №41/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

1. წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ფარს, რომლის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ, ქართული საინჟინრო აზროვნების მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშს– ბრინჯაოს არწივის გამოსახულებას. ფარს ზემოთ გვირგვინად ადგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აბრევიატურა „სტუ“, რომელშიც ჩაწნულია ფარზე განფენილი ბაფთა უნივერსიტეტის დევიზით „ცოდნა ძალაა“ ლათინურ ენაზე “Scientia potestas est“. ფარზე არწივის ქვემოთ განთავსებულია უნივერსიტეტის დასახელება ქართულ და ლათინურ ენებზე, შესაბამისად: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ და “GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI“. ფარზე კომპოზიციას ამთავრებს უნივერსიტეტის დაარსების წელი „1922“ და ზეთისხილის ტოტები როგორც სიმბოლო სიბრძნისა და განახლებისა.

2. წესდების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3^1 პუნქტი:

„3^1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, გვერდების თანაფარდობით 2:3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა მუქი წითელი ფერის ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავების გადაკვეთაზე მოთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბი. დროშის სიმბოლურ-აზრობრივ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს საქართველოს

სახელმწიფო დროშის ძირითადი კომპოზიცია. სტუ-ს დროშაზე ნაჩვენები ყველა ფერი, ჰერალდიკის კანონების მიხედვით, შეიცავს გარკვეულ მნიშვნელობას: **თეთრი** – უმანკოებას, უბიწოებას, სიწმინდეს, სიბრძნეს; **ყვითელი (ოქროსფერი)** – განათლებას, კეთილდღეობას, სიმდიდრეს და დიდებას; **მუქი წითელი** – სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამართლიანობას და სიყვარულს.

3. წესდების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3^2 პუნქტი:

„3^2. უნივერსიტეტის ჰიმნი, მსგავსად გერბისა, შინაარსით სიმბოლურია, ის პატივს მიაგებს უმაღლესი სკოლის სახელოვან წარსულს, მის დღევანდელ ზნეობრივ-ეთიკურ იდეალებს და ორიენტირებულია მომავლის ღირებულებებზე.

4. წესდების 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის ან/და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში“;

5. წინამდებარე დადგენილება განხილულ იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ საბოლოო დასკვნისათვის, რის შემდეგაც წარედგინოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**